საქართველო
ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის
მერიის აპარატი
GEORGIA
STAFF OF THE CITY HALL OF
RUSTAVI MUNICIPALITY

N 02/15261
15/11/2018

15261-02-2-201811151243

მოქალაქე: **სოსო ქურასბედიანს**
მის:
ტელ:

ბატონო სოსო,

თქვენი, 2018 წლის 7 ნოემბერს ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის მერიაში შემოსული **N11760/02** (გადმოგზავნილი:N 14031-02-01; 14/11/2018წ.) განცხადების პასუხად, გაცნობებთ, რომ ადმინისტრაციული ორგანო „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი"-ს 83-ე მუხლის შესაბამისად, 3 დღის ვადაში ამოწმებს განცხადების შესაბამისობას ამავე კოდექსის 78-ე მუხლის მოთხოვნებთან.

განცხადების თანახმად, თქვენს მოთხოვნას წარმოადგენს ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობისა და ადგილობრივი მოსაკრებლების სამსახურის მიერ დაჯარიმების თაობაზე გამოცემული ინდივიდუალური-ადმინისტრაციული სამართლებრივი აქტის სამართლიანობის შესწავლა. „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლის პირველი ნაწილის „ი" ქვეპუნქტით კი ადმინისტრაციული საჩივარი არის დაინტერესებული მხარის მიერ უფლებამოსილ ადმინისტრაციულ ორგანოში ამ კოდექსით დადგენილი წესით წარდგენილი წერილობითი მოთხოვნა დარღვეული უფლების აღდგენის მიზნით იმავე ან ქვემდგომი ორგანოს მიერ გამოცემული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გათილად გამოცხადების, შეცვლის ან ახალი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის ან ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ისეთი მოქმედების განხორციელების ან ისეთი მოქმედების განხორციელებისაგან თავის შეკავების შესახებ, რომელიც არ გულისხმობს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემას;

აღნიშნულის გათვალისწინებით, იმისათვის, რომ ადმინისტრაციულმა ორგანომ განახორციელოს თქვენი განცხადებით მოთხოვნილი საკითხის შესწავლა და შესაბამისი გადაწყვეტილების მიღება, გთხოვთ დაგვიზუსტოთ მოთხოვნა და წარმოგვიდგინოთ შესაბამისი დოკუმენტაცია (დადგენილება, კორესპონდენცია და სხვა).

შესაბამისად, ადმინისტრაციული ორგანო „ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი"-ს 83-ე მუხლის მე-2 ნაწილის გათვალისწინებით, განგისაზღვრავთ 7 (შვიდი) დღის ვადას, აღნიშნული განცხადების დაზუსტებისა და დოკუმენტაციის წარმოდგენის მიზნით.

ამასთან განგიმარტავთ, რომ დამატებითი დოკუმენტის წარდგენამდე განცხადების განხილვის ვადის დინება შეჩერებულად ითვლება. თუ დადგენილ ვადაში განმცხადებელი არ წარადგენს შესაბამის დოკუმენტს ან ინფორმაციას, ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია გამოიტანოს გადაწყვეტილება განცხადების განუხილველად დატოვების შესახებ. განცხადების განხილვის ვადის დინება განახლდება მხოლოდ შესაბამისი საბუთის წარდგენისთანავე.

პატივისცემით,

ნინო ნიკოლავა

პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი